



# ISFED

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოება

## წინასაარჩევნო გარემოს შეფასება

### საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნებისთვის

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.



# USAID

FROM THE AMERICAN PEOPLE

## კონტექსტი

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში პრეზიდენტის მორიგი არჩევნები გაიმართება. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით 70-მდე გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს. მონიტორინგი მოიცავს როგორც წინასაარჩევნო პერიოდზე, ასევე არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდზე დაკვირვებას. ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლები 10 აგვისტოდან უკვე აკვირდებიან წინასაარჩევნო გარემოს. წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებასთან ერთად, „სამართლიანი არჩევნები“ წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის, პოლიტიკური და მედია პლურალიზმის კუთხით წინასაარჩევნოდ ქვეყანაში არსებული გარემოს შეფასებას.

მომავალ არჩევნებს განსაკუთრებულ ინტერესს და მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ 2018 წელს პრეზიდენტი უკანასკნელად აირჩევა პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2018 წლის შემდეგ პრეზიდენტი საყოველთაო არჩევნების გარეშე, არაპირდაპირი წესით აირჩევა.<sup>1</sup> ამასთან, გამონაკლისის სახით, 2018 წელს პირდაპირი წესით არჩეული ბოლო პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წლის ნაცვლად 6 წლით განისაზღვრა.

საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დაწყებას წინ უძღვოდა საგრძნობი გადაადგილებები მმართველ პარტიაში და მნიშვნელოვანი სამთავრობო ცვლილებები. 11 მაისს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აირჩიეს.<sup>2</sup> ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ფორმალურად დაბრუნებამდე მედიაში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია მმართველი პარტიის შიგნით გარკვეულ ჯგუფებს შორის რიგ საკითხებზე წარმოქმნილი მწვავე აზრთა სხვადასხვაობის შესახებ.

ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ არჩევიდან ერთი თვის შემდეგ, 13 ივნისს თანამდებობიდან გადადგა პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი,<sup>3</sup> რომლის შემცვლელად მაშინდელი ფინანსთა მინისტრი - მამუკა ბახტაძე დასახელდა<sup>4</sup>. ახალმა პრემიერ-მინისტრმა ივლისის შუა რიცხვებში საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად მინისტრთა ახალი კაბინეტი და სამთავრობო პროგრამა წარუდგინა, რომელიც ორიენტირებული იყო ე.წ. „მცირე და ეფექტური“ მთავრობის კონცეფციაზე. მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში სამინისტროების რაოდენობა 14-დან 12-მდე შემცირდა.

მმართველ პარტიაში გადაადგილებებთან ერთად, 11 მაისიდან 13 ივნისამდე პერიოდი გამორჩეული იყო თბილისში ფართომასშტაბიანი საპროტესტო ტალღის გამოც. ამ პერიოდში საპროტესტო აქციების ორი გამოკვეთილი ტალღა განსხვავებულ საკითხებს შეეხებოდა, თუმცა ერთობლიობაში, ამ აქციებმა ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული მზარდი უკმაყოფილება წარმოაჩინა.

12 მაისს, ღამის 1 საათზე, შსს-მ თბილისის ღამის კლუბებში - „ბასიანსა“ და „კაფე გალერეაში“ ნარკოტიკების რეალიზატორების გამოვლენის საბაზით მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარა, რომლის ფარგლებშიც ნიღბიანი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი სპეცდანიშნულების

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 50; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

<sup>2</sup> ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ აირჩიეს, რადიო თავისუფლება, 11 მაისი 2018, <https://www.radiotavisupleba.ge/a/29221479.html>

<sup>3</sup> პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი გადადგა, ბათუმელები, 13 ივნისი 2018, <http://batumelebi.netgazeti.ge/news/141478/>

<sup>4</sup> პრემიერ-მინისტრის კანდიდატად მამუკა ბახტაძე დასახელდა, აჭარის ტელევიზია, 14 ივნისი 2018, <http://ajaratv.ge/news/ge/30500/premier-ministris-kandidatad.html>

რაზმი კლუბებში ღონისძიებების მიმდინარეობისას შეიჭრა. სპეცოპერაციის ჩატარების ფორმამ, ასევე პოლიციის მიერ კლუბ „ბასიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცოპერაციის შემდეგ გამართული საპროტესტო აქციის დაშლამ და მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დაკავებამ მძლავრი საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია.<sup>5</sup> მოქალაქეები პოლიციის მიერ ძალის გადამეტებას, პოლიციურ კონტროლს და თავისუფალი გამოხატვის შეზღუდვას აპროტესტებდნენ. საპროტესტო აქციები რუსთაველის გამზირზე 12-13 მაისს მიმდინარეობდა.

პროტესტის კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი ტალღა საგამოძიებო სისტემის ხარვეზებს უკავშირდებოდა, რაც საზოგადოებისთვის თვალნათლივ 2017 წლის 1 დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვნის სასტიკი მკვლელობის საქმეში გამოჩნდა. აღნიშნულ საქმეზე 31 მაისს სასამართლოს მიერ გამოტანილმა განაჩენმა<sup>6</sup> გაამყარა ერთ-ერთი გარდაცვლილი მოზარდის, დავით სარალიძის მშობლის ვარაუდი, რომ გამოძიება ხარვეზებით წარიმართა, ხოლო სისხლიან გარჩევაში მონაწილე ყველა პირი პასუხისგებაში მიცემული არ იყო. აღნიშნულ საქმეს მაღალი რეზონანსი მოყვა საზოგადოებაში და თბილისში რამდენიმე დღიანი ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია გაიმართა. პროტესტის ფონზე თანამდებობა დატოვა მთავარმა პროკურორმა - ირაკლი შოთაძემ, საქმის მასალებზე წვდომა მიეცა სახალხო დამცველს, ხოლო საქართველოს პარლამენტში შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომელიც ხორავას ქუჩაზე ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ხარვეზებს სწავლობს. კომისიაში უმრავლესობას საპარლამენტო უმცირესობა წარმოადგენს. საგამოძიებო კომისია საკუთარ დასკვნას, სავარაუდოდ სექტემბერში გამოაქვეყნებს.

მაისის თვეში საყურადღებო იყო ასევე აგრესიული ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურება. 13 მაისს კლუბ „ბასიანის“ მხარდასაჭერად გამართული აქციის პარალელურად რადიკალურმა ჯგუფებმა კონტრაქცია მოაწყვეს და პარლამენტის წინ ახალგაზრდების აქციის ალყაში მოქცევას ცდილობდნენ. სწორედ აგრესიული კონტრ-აქციის მონაწილეების მხრიდან შესაძლო დაპირისპირების საფრთხეზე აპელირებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა კლუბ „ბასიანის“ მხარდასაჭერად პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს რუსთაველის გამზირის დატოვება პარლამენტის ეზოდან ავტობუსების მეშვეობით შესთავაზა. აღნიშნულმა საზოგადოებაში გააჩინა აზრი, რომ რადიკალური ჯგუფების გააქტიურება მთავრობამ ახალგაზრდების საპროტესტო ტალღის გასანეიტრალებლად გამოიყენა.

რადიკალური ულტრანაციონალისტური ჯგუფები კიდევ ერთხელ 17 მაისს გააქტიურდნენ, რომელიც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეა და არაერთი წელია საქართველოში ვნებათაღელვით გამოირჩევა<sup>7</sup>. 17 მაისისთვის წელს სხვადასხვა ეპარქიებიდან მრევლის უპრეცედენტო მობილიზება დაანონსდა. ამ ფონზე, ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურებასთან ერთად, ლგბტ უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა 17 მაისს მთავრობის კანცელარიასთან დაგეგმილი აქცია გააუქმეს, თუმცა ინდივიდუალური აქტივისტები აქციაზე მაინც შეიკრიბნენ. პოლიციის ფართომასშტაბიანი მობილიზების მიუხედავად, აქციაზე მცირე ძალადობრივ ინციდენტი მაინც დაფიქსირდა<sup>8</sup>.

<sup>5</sup> პარლამენტის წინ აქცია "ჩვენი თავისუფლებისთვის" მიმდინარეობს, სამხრეთის კარიბჭე, 13 მაისი 2018, <http://sknews.ge/index.php?newsid=17678>

<sup>6</sup> სასამართლომ ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებული გაამართლა, ლიბერალი, 31 მაისი 2018, <http://liberali.ge/news/view/37164/sasamartlom-khoravas-quchaze-davit-saralidzis-ganzrakh-mkvlelobis-saqmeze-braldebuli-gaamartla>

<sup>7</sup> 2013 წელს ლგბტ აქტივისტების მცირერიცხოვანი აქციის ძალადობრივი დარბევის შემდეგ, 2014 წლიდან საქართველოს საპატრიარქომ 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა და მრევლის მობილიზებით ცდილობს რუსთაველის გამზირზე ლგბტ აქტივისტების ღონისძიებების პრევენციას.

<sup>8</sup> ანტიჰომოფობიურ აქციაზე სიტყვით გამომსვლელს თავს დაესხნენ, ლიბერალი, 17 მაისი 2018, <http://liberali.ge/news/view/36792/video-antihomofobiur-aqtsiaze-sityvit-gamomsvlels-tavs-daeskhnen>

## საკანონმდებლო ცვლილებები

საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე საარჩევნო კოდექსში სხვადასხვა ცვლილება განხორციელდა.<sup>9</sup> ცვლილებების ერთი ნაწილი საარჩევნო ადმინისტრაციის, ხოლო მეორე ნაწილი - საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ იყო ინიცირებული. ეს უკანასკნელი საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან დაკავშირებულ თანმდევ ცვლილებებს წარმოადგენს. ასევე, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ცვლილებები განხორციელდა ამომრჩეველთა მისამართებთან, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების რეგისტრაციასთან და სამინისტროების სახელწოდებების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შეეხებოდა სამ ორგანულ კანონს - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. ცესკოს განმარტებით, ცვლილებების მიღება, უკავშირდებოდა საარჩევნო კოდექსის ნორმების დახვეწას, მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის გამარტივებას. თუმცა, ცესკოს მიერ წარმოდგენილი საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების თავდაპირველი ვერსია შეიცავდა წინააღმდეგობრივ საკითხებს, რომელსაც „სამართლიანი არჩევნები“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციები<sup>10</sup> არ ეთანხმებოდნენ. აქედან გამომდინარე, სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ინიცირებულ პროექტთან დაკავშირებით ერთობლივი მოსაზრებები შეიმუშავეს და საარჩევნო ადმინისტრაციას და საქართველოს პარლამენტს წარუდგინეს.<sup>11</sup> პროექტების განხილვის მიზნით და საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად სამივე ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში ამ მიზნით გამართულ შეხვედრებში. ამ პროცესში კომიტეტმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოსაზრებების დიდი ნაწილი გაიზიარა.

პარლამენტის მიერ 21 ივლისს საბოლოოდ მიღებული რედაქციის მიხედვით, საარჩევნო კოდექსში ტერმინთა განმარტებებს დაემატა „არჩევნებში/რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების“ ცნება, კერძოდ, არჩევნებში/რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების რაოდენობა დადგინდება საარჩევნო ყუთში/ყუთებში არსებული ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების ჯამის მიხედვით და არ მოიცავს ბათილად ცნობილ საარჩევნო ბიულეტენებით მიღებულ ხმებს. ასევე, დაზუსტდა ჩასატარებელი არჩევნებისათვის/რეფერენდუმისათვის საარჩევნო ღონისძიებებისა და პროცედურების საწყისი ვადები. გარდა ამისა, დაზუსტდა დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების ვადა და განისაზღვრა, რომ შესაძლებელია პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნაც, რასაც სადამკვირვებლო ორგანიზაციები არ ეთანხმებოდნენ. გასულ არჩევნებზე გამოვლენილ სიებიდან მონაცემების ამოწერის ახალ ტენდენციასზე საპასუხოდ, აიკრძალა იმ ინფორმაციის ან მონაცემების ფოტო-ვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რაც არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დამუშავება ან გადაღება გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით. ცვლილებებით ასევე განისაზღვრა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში კანდიდატურის მოხსნა დაუშვებელია. ეს კიდევ ერთი საკითხია, რაზეც სადამკვირვებლო ორგანიზაციებს განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციების გარდა, ეუთოს სადამკვირვებლო მისიასაც ჰქონდა მეორე ტურზე კანდიდატურის მოხსნის დასაშვებობის შესახებ რეკომენდაცია, პარლამენტმა ამ მიმართულებით არსებული არგუმენტები არ გაიზიარა.

<sup>9</sup> იხ: კანონპროექტები: <https://info.parliament.ge/#law-drafting/16169>; <https://info.parliament.ge/#law-drafting/15922>; <https://info.parliament.ge/#law-drafting/15923>; <https://info.parliament.ge/#law-drafting/15921>

<sup>10</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“

<sup>11</sup> მოსაზრებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებებზე, ISFED, 28 მაისი 2018, <http://www.isfed.ge/main/1384/geo/>



## საარჩევნო ადმინისტრაცია

მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციისა და ბოლო პერიოდში ჩატარებული არჩევნების შედეგებისადმი საზოგადოებაში არსებული ნდობისა, საარჩევნო ადმინისტრაცია, მისი საქმიანობის ხარვეზებიდან გამომდინარე 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კრიტიკის ობიექტი არაერთხელ გახდა.<sup>12</sup>

„სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, საარჩევნო ადმინისტრაციის განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს საჩივრების განხილვის პროცესი<sup>13</sup>. პრობლემურია საარჩევნო კანონმდებლობის ვიწროდ განმარტების ფაქტები, რაც კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფასა და სამომავლო დარღვევების წახალისებას იწვევს. მაგალითისთვის, გასულ არჩევნებზე ცესკომ და საოლქო კომისიებმა ვერ შეძლეს ადეკვატურად ეპასუხათ საჯარო მოხელეთა მიერ, სოციალური ქსელის გამოყენებით, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით უკანონო აგიტაციის ფაქტებზე. სოციალური ქსელების მეშვეობით უკანონო აგიტაციის ფაქტებზე რეაგირების მიზნით, მიმდინარე წელს სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მოითხოვეს ცესკოსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში სოციალურ ქსელებში აგიტაციის შეტანა. საწყის ეტაპზე, შეთანხმება ვერ მოხერხდა, ხოლო მემორანდუმის ხელმოწერა შეთანხმების მიღწევამდე გადაიდო<sup>14</sup>.

საარჩევნო ადმინისტრაციის კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტების პროცესი. გასულ წლებში ხარვეზიანი და არასაკმარისად გამჭვირვალე იყო საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, რამაც გააჩინა ეჭვები ამ პროცესში პოლიტიკური გავლენების არსებობასთან დაკავშირებით<sup>15</sup>. საოლქო კომისიებში ცესკოს მიერ დამატებითი წევრების არჩევამ წელსაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებისა და პოლიტიკური გავლენების გამო. ამასთან, 27 აგვისტოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ძალა ერთობაშია“ გაავრცელა ჩანაწერები, სადაც სავარაუდოდ კრწანისის საოლქო კომისიის თავმჯდომარე საუბრობს „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით კომისიის წევრთა დაკომპლექტებაზე<sup>16</sup>. ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია დადგინდეს აღნიშნული აუდიოჩანაწერის ავთენტურობა, თუმცა გავრცელებული ჩანაწერის შინაარსი, თავის მხრივ, შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და საჭიროებს შესაბამის გამოძიებას. ამ ფონზე, განსაკუთრებულად საყურადღებოა საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრებით დაკომპლექტება. „სამართლიანი არჩევნები“ არაერთი წელია მიუთითებს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესის ხარვეზებზე და შესაძლო პოლიტიკური გავლენების გამორიცხვის აუცილებლობაზე. აუცილებელია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო კომისიების დაკომპლექტების პროცესები იყოს გამჭვირვალე, ნათელი, და დაეფუძნოს წევრთა შერჩევის მკაფიო და ნათელ კრიტერიუმებს.

კომისიების დაკომპლექტების კუთხით მომავალ არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაცია ახალი გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც უკავშირდება გასულ წელს მიღებულ საკანონმდებლო

<sup>12</sup> 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, გვ. 14., ISFED, 19 მარტი 2018, <http://www.isfed.ge/main/1355/geo/>

<sup>13</sup> წინასაარჩევნო დავები: საარჩევნო ადმინისტრაციის აქტიურობის ქუსლი, ISFED, 28 მარტი 2018, <http://www.isfed.ge/main/1362/geo/>

<sup>14</sup> არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცესკოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ISFED, 27 აგვისტო 2018, <http://www.isfed.ge/main/1399/geo/>

<sup>15</sup> 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების I შუალედური ანგარიში, ISFED, 8 სექტემბერი 2017, <http://www.isfed.ge/main/1276/geo/>

<sup>16</sup> „ძალა ერთობაშია“ ცესკოს თავმჯდომარის გადადგომას ითხოვს, რეგინფო, 27 აგვისტო 2018, <http://reginfo.ge/politics/item/9102-%E2%80%99Ewala-ertobashia%E2%80%99C-zeskos-tavmjdomaris-gadadgomis-itxovs>

ცვლილებებს. ახალი წესით, პარტიების მიერ საარჩევნო კომისიებში დასანიშნი წევრების რაოდენობა შემცირებულია 7-დან 6-მდე. ამასთან, ნაცვლად მანამდე არსებული პარტიების პრინციპისა (როცა კომისიის 7 წევრიდან თითო ნიშნავდა სახელმწიფო დაფინანსების მქონე პირველი 7 კვალიფიციური პარტია), დანიშვნის წესი დამოკიდებულია საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული ხმების რაოდენობაზე<sup>17</sup>. შედეგად, შემცირდა პოლიტიკურ პარტიების რაოდენობა, რომელთაც საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრის დანიშვნა შეეძლება, ხოლო კომისიებში მმართველი პარტიის დანიშნული წევრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ოპოზიციური პარტიების ხარჯზე. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის 6 პოლიტიკური წევრიდან 3 მმართველი პარტიის მიერ არის დანიშნული. იმ ფონზე, როდესაც არსებობს კითხვები პროფესიული ნიშნით შერჩეული საარჩევნო კომისიების წევრების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და იკვეთება ამ პროცესში შესაძლო პოლიტიკური გავლენები, პარტიული ნიშნით დანიშნულ წევრებს შორის მმართველი პარტიის მიერ დანიშნული წევრების რაოდენობის ზრდა საფრთხეს უქმნის საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენოს საარჩევნო პროცესს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თამარ ჟვანიას უფლებამოსილების ვადა 2018 წლის სექტემბერში ეწურება. კანონის თანახმად, იგი თანამდებობაზე არჩევნების დასრულებამდე დარჩება. მოქმედ თავმჯდომარეს ამ თანამდებობის დაკავების უფლება ზედიზედ მეორედ კვლავ აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ის დააპირებს თავმჯდომარის პოზიციის დაკავებას, მას, შეიძლება საქართველოს პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა დასჭირდეს, რამაც შესაძლოა თავმჯდომარის საქმიანობაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის კუთხით კითხვის ნიშნები გააჩინოს.

## უწყებათაშორისი კომისია

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით მუშაობა 16 ივლისს დაიწყო. მიუხედავად გასულ არჩევნებზე უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოცემული რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაციისა, ეს ფორმატი ვერ უზრუნველყოფს დარღვევების ეფექტურ პრევენციას რეკომენდაციების შესრულების არასავალდებულო ხასიათისა და მათი მონიტორინგის მექანიზმის არარსებობის გამო. პრობლემურია უწყებათაშორისი კომისიაში ჩამოყალიბებული დამოკიდებულება სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მათ მიერ წარმოდგენილი სავარაუდო დარღვევებისადმი. უშუალოდ დარღვევების განხილვის ნაცვლად, სხდომების მიმდინარეობისას, კომისიის თავმჯდომარის და საექვო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ხშირია სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე თავდასხმის ფაქტები. მსგავსი დამოკიდებულებები ჩრდილს აყენებს კომისიის საქმიანობას და ამცირებს ნდობას ამ ფორმატის, როგორც დარღვევებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმისადმი.

<sup>17</sup> „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 19(5).

## მედია გარემო და სოციალური მედია

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ მედია გარემო მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ტელევიზია რჩება. საერთო ეროვნულ მაუწყებელთა შორის, ტელებაზარს ძირითადად ინაწილებენ „რუსთავი-2“; „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი.

გამორჩეულად ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ კვლავ მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების მექანიზმი. 2018 წლის აპრილში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნული მექანიზმის გაუქმება მოითხოვა.<sup>18</sup> სამივე ინსტანციაში „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებული დავის მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარმართვის ფონზე, გასულ წელს, ადამიანის უფლებათა სასამართლოს მხრიდან შეჩერების მექანიზმმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში პლურალისტური და კრიტიკული მედიის შენარჩუნების კუთხით და, მათ შორის, უზრუნველყო საარჩევნო პერიოდში მედია გარემოს სტაბილურობა. ამდენად, შეჩერების მექანიზმის შენარჩუნება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოოდ გამოტანამდე მნიშვნელოვანია დემოკრატიული პროცესების მდგრადობისთვის და მედია სივრცის მონოპოლიზაციის პრევენციისთვის.

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას სოციალური ქსელების მეშვეობით თბილისის მერობის კანდიდატების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის კამპანიები წარმოადგენდა. ეს კამპანიები Facebook-ზე ანონიმური გვერდებისა და ამ გვერდებზე გაურკვეველი დაფინანსების წყაროებით დასაბუთებული კონტენტის მეშვეობით ხორციელდებოდა.

საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის გააქტიურებასთან ერთად, Facebook-ზე უკვე შეინიშნება დეზინფორმაციის კამპანიები სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის მიმართ. ამასთან, განუხრელად იზრდება ისეთი გვერდების რაოდენობა, რომელთა მიზანი ღირებულებით თემებზე მწვავე დისკუსიის მაპროვოცირებელი ნარატივების წახალისება, რუსული პროპაგანდის მესიჯების გავრცელება და ანტი-დასავლური განწყობების გავლენაა. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ სოციალურ ქსელებში გაურკვეველი დაფინანსებით წარმოებული დეზინფორმაციის კამპანია საფრთხეს უქმნის საარჩევნო პროცესს და თანასწორ საარჩევნო კამპანიას, ხოლო ცრუ ინფორმაციისა და ნარატივების გავრცელება აფერხებს დემოკრატიულ პროცესს. სწორედ ამიტომ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ISFED ახორციელებს სოციალური მედიის მონიტორინგის საპილოტე პროგრამას, რომლის მიზანიც Facebook-ზე არჩევნების კონტექსტში აქტივობისა და დეზინფორმაციის გამოვლენა, დოკუმენტირება და ანალიზია.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სოციალური ქსელების მზარდი გამოყენების კვალდაკვალ უმნიშვნელოვანესია სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ სივრცეში პოლიტიკური მიზნით ფინანსების ხარჯვაზე ეფექტიანი კონტროლი და შესაბამისი მეთოდოლოგიების შემუშავება. ამ კუთხით „სამართლიანმა არჩევნებმა“ შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების რეკომენდაციით აუდიტის სამსახურს მიმართა. ამ ეტაპზე საარჩევნო პროცესებში დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ნაბიჯების შესახებ ცნობილი არ არის.

<sup>18</sup> საქართველო სტრასბურგში რუსთავი 2-ის ხალვაშისთვის გადაცემას ითხოვს – რუსთავი 2, ნეტგაზეთი, 20 აპრილი 2018, <http://netgazeti.ge/news/269756/>

## პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები

ძირითადად ოპოზიციურმა პარტიებმა პრეზიდენტობის კანდიდატები უკვე წარადგინეს. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ოპოზიციური პარტიების ნაწილთან ერთად მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ შექმნა, რომელმაც საერთო საპრეზიდენტო კანდიდატად ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე წარმოადგინა. „ევროპული საქართველოდან“ პრეზიდენტობისთვის პარტიის ლიდერი დავით ბაქრაძე იბრძოლებს. არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა დააყენა ასევე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა - შალვა ნათელაშვილმაც.

მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერიდან განაცხადა, რომ პარტიამ შესაძლოა საპრეზიდენტო კანდიდატი საერთოდ არ წარადგინოს და მხარი რომელიმე დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭიროს ან საერთოდ გამოეთიშოს საპრეზიდენტო არჩევნებს.<sup>19</sup> პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით კი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ კანდიდატთან დაკავშირებით საკუთარ საბოლოო გადაწყვეტილებას 8 სექტემბრის შემდეგ გამოაცხადებს<sup>20</sup>.

კანდიდატურის წარდგენის შესახებ განცხადება ასევე არ გაუკეთებია მოქმედ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, შესაბამისად, უცნობია იყრის თუ არა კენჭს მომავალ არჩევნებზე.

არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს: შენების მოძრაობის ლიდერმა - დავით უსუფაშვილმა და საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელმა წევრმა, მთაწმინდის ოლქის მაჟორიტარმა დეპუტატმა - სალომე ზურაბიშვილმა.

საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში კვლავაც არ გადასულა, თუმცა ჯერ კიდევ არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადებამდე აქტიურ კამპანიას აწარმოებდნენ გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე. ისინი საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში აქტიურად ხვდებიან ადგილობრივ მოსახლეობას. 16 აგვისტოს კამპანია დაიწყო სალომე ზურაბიშვილმაც.

<sup>19</sup> ექსკლუზიური ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან, გადაცემა „აქტუალური თემა“, პირველი არხი, 24 ივლისი 2018, <https://1tv.ge/video/aqtualuri-tema-maka-cincadzis-stumaria-bidzina-ivanishvili-partia-qartuli-ocnebis-tavmjdomare/>

<sup>20</sup> კობახიძე: კანდიდატზე პოზიციას 8 სექტემბრის შემდეგ გავაჟღერებთ, ტაბულა, 24 აგვისტო 2018, <http://www.tabula.ge/story/136123-kobaxidze-saprezidento-kandidatze-pozicias-8-seqtembris-shemdeg-gavazgherebt>



## რეკომენდაციები

### საარჩევნო ადმინისტრაციას:

- საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრებით დაკომპლექტებისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცესკომ უზრუნველყოს გამჭვირვალე, კონკრეტულ კრიტერიუმებზე და მკაფიო პროცედურებზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიციურ კომისიის წევრთა შერჩევას და გამორიცხავს პროცესზე პოლიტიკური გავლენების განცდას;
- საარჩევნო ადმინისტრაციამ მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინოს საჯარო მოხელეების მიერ სოციალურ ქსელებში უკანონო აგიტაციის ფაქტებზე;
- საჩივრების განხილვისა და კანონის გამოყენების ნაწილში საარჩევნო ადმინისტრაციამ თავი უნდა აარიდოს კანონის ვიწრო და სიტყვასიტყვით განმარტების პრაქტიკას და იმოქმედოს კანონის და ნორმის სულისკვეთების შესაბამისად.

### პოლიტიკურ პარტიებს:

- პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა არ უნდა დაუშვან ოპონენტი პარტიების/საარჩევნო სუბიექტების საჯარო შეხვედრებზე საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება და დასწრება;
- წინასაარჩევნო შეხვედრების, სატელევიზიო ეთერებისა და საჯარო გამოსვლების დროს თავი უნდა შეიკავონ გამოხატვის იმგვარი ფორმისგან, რომელიც მიმართული იქნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, მათი სოციალური, ეთნიკური კუთვნილების, რასის, სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, ნაციონალობის, რელიგიური აღმსარებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ენის, იდეოლოგიის, სოციალური კლასის, საქმიანობის ან სხვა ნიშნით;
- საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ხელი შეუწყონ საარჩევნო პროცესის უსაფრთხოდ და ექცეების გარეშე ჩატარებას.

### სახელმწიფო აუდიტის სამსახურს:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება სოციალურ ქსელებში კამპანიის ხარჯების მონიტორინგისა და შესაძლო უკანონო შემოწირულობების შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირებისათვის.